საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი **24 ოქტომბერი , 2011 წელი**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 75

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტს დაემატოს ,,ბ¹" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,ბ¹". მუსიკის ფაკულტეტის საშემსრულებლო მიმართულებით ერთიდაიმავე სასწავლო კურსის (სპეციალობის საგნის) ორჯერ გავლა და კრედიტის ვერ მიღება.

2. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-8 მუხლს დაემატოს 21¹ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

21¹. ბაკალავრს/მაგისტრანტს ორჯერ სადიპლომო/სამაგისტრო (საკვალიფიკაციო გამოცდა) ნაშრომში არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღებისას შეუწყდეს სტატუსი.

3. დადგენილებით იხელმძღვანელონ სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა, სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების, მუსიკის და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებმა.

4. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**